დანართი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელეთა მინიმალური და დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები

მუხლი 1.

1. დადგენილებით განსაზღვრული მინიმალური საკვალიფიკაციო მოთხოვნების დაკმაყოფილება სავალდებულოა საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელეთა თანამდებობის დასაკავებლად, რომელიც თანამდებობათა მიხედვით მოიცავს:

ა) უმაღლეს, საშუალო განათლებას, სამუშაო გამოცდილებას;

ბ)ელექტრონული საინფორმაციო-საკომუნიკაციო სისტემის მეშვეობით საქმისწარმოებას /დოკუმენტის მიღება, შედგენა, გადაგზავნა/;

გ) ქართულ ენაზე, გამართული ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარს;

დ) საოფისე კომპიუტერული პროგრამების Microsoft Office Word, Microsoft Office Excel, Internet Explorer-ის სამომხმარებლო დონეზე ცოდნას;

ე) პროფესიული კვალიფიკაციის შესაბამის მენეჯერულ უნარებს;

2. საკრებულოს აპარატის ყველა საჯარო მოხელისათვის სავალდებულოა შემდეგი სამართლებრივი აქტების მინიმალური ან ზოგადი ცოდნა:

ა) საქართველოს კონსტიტუცია;

ბ) საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;

გ) საქართველოს კანონი „ საჯარო სამსახურის შესახებ“;

დ) საკრებულოს რეგლამენტი;

ე) საკრებულოს აპარატის დებულება;

მუხლი 2

1. დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელეთათვის მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

ა) პროფესიული ცოდნის მოთხოვნები;

ბ) ზოგადი უნარების მოთხოვნები;

გ) პროფესიული უნარების მოთხოვნები;

2. საკრებულოს აპარატის უფროსის თანამდებობის დასაკავებლად, გარდა ამ დადგენილების პირველი და მე-2 მუხლით დადგენილი მოთხოვნებისა, სავალდებულოა არანაკლებ ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, თანამდებობაზე (საჯარო ან კერძო სამსახურში) მუშაობის არანაკლებ 2 წლიანი გამოცდილება, სამუშოთა აღწერილობით დადგენილი ნორმატიული აქტების ცოდნა და საჭირო უნარები.

3. საკრებულოს აპარატის განყოფილების უფროსის თანამდებობის დასაკავებლად, გარდა ამ დადგენილების პირველი და მე-2 მუხლით დადგენილი მოთხოვნებისა , სავალდებულოა არანაკლებ ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, თანამდებობაზე (საჯარო ან კერძო სამსახურში) მუშაობის არანაკლებ 6 თვიანი გამოცდილება, სამუშაოთა აღწერილობით დადგენილი ნორმატიული აქტების ცოდნა და საჭირო უნარები.

3. სპეციალისტის თანამდებობის დასაკავებლად, გარდა ამ დადგენილების პირველი და მე-2 მუხლით დადგენილი მოთხოვნებისა, სავალდებულოა არანაკლებ საშუალო სპეციალური ან ტექნიკური განათლება ან ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, სამუშაოთა აღწერილობით დადგენილი ნორმატიული აქტების ცოდნა და საჭირო უნარები.